N გ-20-20/3304
13/10/2020

3304-გ-20-20-2-202010131618

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს,

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

საქართველოს კომუნიკაციების კომისიის თავჯდომარეს,

კახი ბექაურის

წერილი

ბატონო მიხეილ,

მოგახსენებთ, რომ მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტების გადამოწმების, ანალიზისა და შეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობისთვის, ატარებს მედიაწიგნიერების კონკურსს **ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის.**

მოგმართავთ თხოვნით, გაავრცელოთ ინფორმაცია კონკურსის, „ნამდვილი თუ მოგონილი?!“ შესახებ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კონკურსის ფარგლებში, სტუდენტებმა ინდივიდუალურად უნდა შეასრულონ შემდეგი დავალება:

> *აღმოაჩინონ ქართულ მედიასივრცეში (ინტერნეტი, ტელევიზია, ბეჭდური მედია, სხვ.) გავრცელებული ყალბი ინფორმაცია (რომელიც ეხება საქართველოში მომხდარ ამბავს და არ ყოფილა*

დადასტურებული, როგორც ყალბი ინფორმაცია), წარმოადგინონ აღმოჩენის გზა, შესაბამისი წყარო, შესაძლო მოტივები და პარალელურად, დაადგინონ რეალური ფაქტები, ამბავი.

დავალების წარმოსადგენად სტუდენტებს შეუძლიათ თავად შეარჩიონ ფორმატი - ვიდეო ან მულტიმედია ნამუშევარი, პრეზენტაცია ან სხვა ალტერნატიული ფორმა.

კონკურსის გამარჯვებულებს გამოავლენს კომპეტენტური ჟიური, რომლის წევრებიც იქნებიან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, განათლების სამინისტროს, მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

პრიზები:

კომუნიკაციების კომისიისგან გამარჯვებულებს ულტრათანამედროვე პრიზები გადაეცემათ. პირველი ადგილის მფლობელი საჩუქრად iPhone 12 Pro-ს მიიღებს, მეორე ადგილის მფლობელს - New iPad Pro 2020, ხოლო მესამე ადგილზე გასულ სტუდენტს - Beats Studio 3-ის თანამედროვე უსადენო ყურსასმენი გადაეცემა.

კონკურსის ვადები:

საკონკურსო ნამუშევრები სტუდენტებმა მითითებულ ლინკზე უნდა გამოგზავნონ 2020 წლის 12 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსის წესები:

სტუდენტებს თავად შეუძლიათ შეარჩიონ საკონკურსო დავალების წარმოდგენის ფორმატი, თუმცა უნდა გაითვალისწინონ ნაშრომის მოცულობის ლიმიტები:

- ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს
- საპრეზენტაციო მასალა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს

- ნაშრომები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის დავალებასა და პირობებს, ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს;

- ნაშრომები, რომლებშიც გამოვლინდება პლაგიატი, ავტომატურად გამოეთიშება კონკურსს;

შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად რთულად დასამტკიცებელი იყო ამბავი
- რამდენად მაღალია გამოყენებული წყაროების ფაქტობრივი სიზუსტე

- ➢ რამდენად შემოქმედებითია შესრულებული დავალება
- ➢ რამდენად ინფორმაციული და პრეზენტაბელურია ნაშრომი

• კონკურსის წესებისა და დეტალური ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების გვერდზე - https://www.facebook.com/MediaLiteracy.comcom/ და კომისიის ვებ-გვერდზე - www.comcom.ge

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია